საქართველოს მთავრობის განკარგულება

№54 2017 წლის 13 იანვარი ქ. თბილისი

სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების
შუახევის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში ძირითადი (განუსხვისებელი)
ქონების სახით გადაცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 113-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებისა და „ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულისათვის გადასაცემი ძირითადი (განუსხვისებელი) ქონების სახეობათა ნუსხის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 11 დეკემბრის №330 დადგენილებით დამტკიცებული ნუსხის პირველი პუნქტის თანახმად, დამტკიცდეს სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2016 წლის 29 დეკემბრის №5/66160 გადაწყვეტილება, შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ ჯაბნიძეებში 192.00 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე მდებარე შენობა-ნაგებობა №1-ის პირველ სართულზე არსებული 47.70 კვ.მ (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: №24.06.34.207.01.501) და სარდაფის სართულზე არსებული 48.36 კვ.მ (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: №24.06.34.207.01.502) ფართების, მათზე წილობრივად დამაგრებულ მიწის

ნაკვეთთან ერთად, შუახევის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში ძირითადი (განუსხვისებელი) ქონების სახით გადაცემის შესახებ.

პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი